



# **ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის თავისებურებანი**

თბილისი 2008



**ევროკავშირი 27** ევროპული სახელმწიფოს\* პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც თანდათანობით, 50 წლიანი ისტორიის მანძილზე ვითარდებოდა. დღეს ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის საზღვრები ღიაა და ისინი საერთო სავაჭრო სივრცით და საერთო ვალუტით სარგებლობენ. ევროკავშირი მზადაა თავისი ფასეულობები და გამოცდილება სხვა სახელმწიფოებს გაუზიაროს. ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის შესახებ იხილეთ [www.delgeo.ec.europa.eu](http://www.delgeo.ec.europa.eu)



**ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო (EUGBC)** ქართული და ევროპული კომპანიების მიერ 2006 წლის დასაწყისში, ბრიუსელში, არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დაფუძნდა. საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ინვესტიციებისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. ინფორმაცია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს შესახებ იხილეთ [www.eugbc.net](http://www.eugbc.net)

\*ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი და პოლანდია.

## ევროკავშირის გაზარზე ამსოქრტის თაჰისაჰურაჰანი

**სარედაქციო ჯგუფი:** *ალექსანდრე ხეთისიაშვილი*  
*იოსებ ნანობაშვილი*  
*კონსტანტინე ზალდასტანიშვილი*

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო მადლობას უხდის **პოლიტიკისა და სამართლის ქართულ-ევროპულ საკონსულტაციო ცენტრს (GEPLAC)** პუბლიკაციის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

© European Commission

ISBN 978-9941-0-0570-1

## ს ა რ ო ე ვ ი

|                                                                                                                                                   |    |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ევროკავშირთან ვაჭრობაში<br>არსებული სატარიფო და არასატარიფო ბარიერები                                                                             | 3  |
| ევროკავშირთან ვაჭრობაში არსებული<br>არასატარიფო ბარიერების კონკრეტული მაგალითები                                                                  | 6  |
| ევროკავშირის ერთიანი ბაზრის შექმნა, მისი განვითარება<br>და ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ასპექტები                                                 | 12 |
| ევროკავშირის მიერ განვითარებადი<br>ქვეყნების მიმართ ორმხრივ და მრავალმხრივ<br>ფორმატებში წარმოებული სავაჭრო პოლიტიკა                              | 15 |
| საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის ამჟამად<br>არსებული საკანონმდებლო ბაზა და მისი გაფართოების<br>მიმართულებით დაგეგმილი შემდგომი ნაბიჯები | 21 |
| Summary: Exporting to the European Union market - Specific issues                                                                                 | 26 |

## ევროკავშირთან ვაჭრობაში არსებული სატარიშო და არასატარიშო ბარიერები

განვითარებადი ქვეყნების<sup>1</sup> ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მათი საექსპორტო შესაძლებლობების მსოფლიო ბაზარზე მაქსიმალური რეალიზაციაა. სწორედ ეს აძლევს ამ ქვეყნებს ეკონომიკური ზრდისა და, შესაბამისად, სიღარიბის ეფექტურად დაძლევის ახალ შესაძლებლობებს.

საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქართველი მწარმოებლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბაზართან - ევროკავშირთან ვაჭრობის ზოგადი და კონკრეტული საკითხების შესახებ ინფორმაციის გამარტივებული სახით მიწოდებას. ეს საკითხი განსაკუთრებით საგულისხმოა რუსული ემბარგოს ფონზე, რომლის შედეგად ქართული პროდუქციის მრავალ სახეობას რეალიზაციის რეალური პრობლემები შეექმნა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპის შესანარჩუნებლად, უადრესად მნიშვნელოვანია ექსპორტის დივერსიფიცირება, ანუ საქართველოში წარმოებული პროდუქციის ტრადიციული ბაზრებიდან (რუსეთი, ცენტრალური აზია და ა.შ.) ევროპული, უმაღლესი სტანდარტების ბაზარზე გადამისამართება. ბუნებრივია, რომ სწორი სავაჭრო პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში, 500 მლნ-ზე მეტი ევროპელი მომხმარებლის მომცველი ბაზარი ნებისმიერი მწარმოებლისათვის უადრესად მიმზიდველია (დასავლეთ ბალკანეთისა და თურქეთის ევროკავშირში შესაძლო გაწევრიანების პროცესის დასრულების შემდეგ მომხმარებელთა რაოდენობამ შეიძლება 800 მლნ-ს გადააჭარბოს).

ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. ამდენად, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის კურსის შესანარჩუნებლად, ეკონომიკური ინტეგრაცია უადრესად მნიშვნელოვანია.

ევროკომისიის ინტერნეტ-გვერდზე ([www.europa.eu.int](http://www.europa.eu.int)) ნათქვამია, რომ “ევროკავშირი საქართველოს განიხილავს ე.წ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნად, რომელიც ევროკავშირის მხრიდან სარგებლობს დროებითი (ad-hoc) საბაზრო ეკონომიკური მიდგომით” (market economy treatment). ზრდის ზოგადი ტენდენციის მიუხედავად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა მცირე და არასაკმარისად დივერსიფიცირებულია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტს შეეხება. რატომ ხდება ასე? ერთი შეხედვით,

1 განვითარებად ქვეყნებად იწოდებიან ის ქვეყნები, რომელთაც შედარებით დაბალი ცხოვრების დონე და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის შედარებით მცირე მანქანების აქვთ, თუმცა ეკონომიკური განვითარების ფაზაში იმყოფებიან.

მსოფლიო სავაჭრო სისტემაში მონაწილეობისათვის საქართველოს ერთობ ხელსაყრელი პირობები აქვს შექმნილი – ქვეყანა სარგებლობს ევროკავშირის პრეფერენციითა (შეღავათების) განზოგადებული სისტემით (GSP) გათვალისწინებული სატარიფო შეღავათებით (რომელთა შესახებაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ), არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, სარგებლობს სხვადასხვა დონორების, მათ შორის ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით და ა.შ. მაშ რა არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის მოცულობა შექმნილი პირობების არაადეკვატურია და საქართველო არასრულად იყენებს არსებულ პოტენციალს?

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ევროკავშირთან ვაჭრობაში მესამე ქვეყნები<sup>2</sup> მეტწილად წარმატებით ახერხებენ ე.წ. სატარიფო, ანუ ადმინისტრაციული ბარიერების, როგორცაა მაგალითად, საბაჟო და სხვა ადმინისტრაციული პროცედურები, გადალახვას და მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები ექმნებათ არასატარიფო ბარიერების დაძლევის პროცესში. არასატარიფო ბარიერში იგულისხმება ის ტექნიკური (მათ შორის, სანიტარული თუ ფიტოსანიტარული) სტანდარტები, რომლებსაც პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის ბაზარზე შესაღწევად. მათში ასევე მოიაზრება სერტიფიცირებისა და პროდუქციის წარმოშობის მოთხოვნები და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ არასატარიფო ბარიერების უარყოფითი გავლენა გლობალური ვაჭრობის სისტემის განვითარებაზე არამხოლოდ ევროკავშირთან ორმხრივ ვაჭრობაში შეინიშნება. შესაბამისად, მათი შემცირების საკითხი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარე “დოჰა-ს განვითარების რაუნდის” მოლაპარაკებებშიც არის ჩართული. ამ უკანასკნელსაც შემდეგ თავებში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

წინამდებარე პუბლიკაცია - პირველი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის სპეციფიკასთან დაკავშირებულ პუბლიკაციათა ციკლიდან - იძლევა იმ სატარიფო და არასატარიფო ბარიერების განმარტებებს, რომელთა დაძლევა, ევროკავშირთან ვაჭრობის პროცესში, მესამე ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უწყევთ.

ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესაღწევად რთული მოთხოვნებია დასაკმაყოფილებელი. ამ მოთხოვნათა სირთულე ნაკარნახევია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა სურვილით, ერთის მხრივ, მაქსიმალურად დაიცვან საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობა, ხოლო მეორეს მხრივ, ევროკავშირის შიდა ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პირობები შექმნან, ანუ არ დაუშვან საკუთარ ბაზარზე ისეთ პირობებში და ისეთ ტექნოლოგიებით დამზადებული პროდუქციის

2 მესამე ქვეყნებად იწოდებიან ის სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც ევროკავშირთან სპეციალური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებით სარგებლობენ (ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნები, ევროკავშირთან სტაბილურობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაკავშირებული ქვეყნები, ა.შ.).

შემოსვლა, რომელიც ევროკავშირის სტანდარტებს არ შეესაბამება, შესაბამისად დაბალი თვითღირებულება აქვს და ამით ბაზარზე გარკვეულ უპირატესობას ფლობს.

ევროკავშირის არასატარიფო ბარიერების დაძლევა გართულებულია იმ მიზეზითაც, რომ ეს ბარიერები ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ დამტკიცებული საკანონმდებლო აქტებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობების რთული სინთეზის შედეგია. მაგულისხმოა ისიც, რომ ხსენებული სინთეზური საკანონმდებლო ბაზა მუდმივად განახლების პროცესშია და, შესაბამისად, მასში შესული ცვლილებების მკაცრ მონიტორინგს საჭიროებს.

ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის იმპორტის დამაბრკოლებელი ფაქტორი შეიძლება იყოს როგორც პროდუქციის ტექნიკური სტანდარტი და სერტიფიცირების მოთხოვნა, ასევე პროდუქციის წარმოშობის დაცვა, ხარისხის კონტროლი, მომხმარებელთა დაცვა, საბაჟო და ბიუროკრატიული პროცედურები, გარემოს დაცვითი ზომები და ა.შ.

იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ აბრკოლებს ევროკავშირის ბარიერები მესამე ქვეყნებიდან ექსპორტს ისიც გამოდგება, რომ ევროკავშირის სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების გამო, აფრიკის ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი მათი სრული პოტენციალის მხოლოდ 36%-ს შეადგენს.

ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში და კონკრეტულად ჩვენს რეგიონში მცირეა იმ კომპანიათა რიცხვი, რომლებიც იცნობენ ევროკავშირის სავაჭრო კანონმდებლობას. ამდენად, ევროპულ ბაზარზე ორიენტირებულ კომპანიათა დიდ უმრავლესობას შესაბამისი ახსნა-განმარტებითი სამუშაოების ჩატარება ესაჭიროება. საგულისხმოა, რომ ჩატარებული გამოკითხვების შესაბამისად, მაგალითად, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიების 48% არ იცნობს ევროკავშირის ბაზრის ძირითად პრინციპებს და მხოლოდ 9%-ა მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის თაობაზე. ამ ფონზე ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა მდგომარეობაა აღნიშნული კუთხით ჩვენს რეგიონში.

ევროკავშირის ბაზრის დამცავი მექანიზმების შემუშავებისა და ეფექტური კონტროლის გაწევის თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი ევროკავშირის ინსტიტუტებს, კერძოდ კი ევროკომისიას ეკისრება. მაგალითისათვის, ევროკომისიის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა დაცვის გენერალური დირექტორატი აყალიბებს სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების საერთო-ევროპულ სტანდარტებს და მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული სასურსათო პროდუქტების მონიტორინგის წესებს. მნიშვნელოვანი როლი აკისრია ევროკავშირის წევრ ქვეყნებსაც. თითოეული წევრი ქვეყანა, მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციისათვის შეიმუშავებს დამატებით მოთხოვნებს. ამასთან, თავისი მოთხოვნები აქვთ სარეალიზაციო და სადისტრიბუციო ორგანიზაციებს, მაგალითად საცალო და საბითუმო ქსელებს. შესაბამისად, მესამე ქვეყ-

ნის კომპანიებს ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის სარეალიზაციოდ მოთხოვნათა ზემოაღნიშნული სამი წყების დაკმაყოფილება უწევთ.

ევროკავშირის ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო სისტემის სირთულის სადემონსტრაციოდ ევროკავშირის რამოდენიმე რეგლამენტს წარმოვიდგენთ: ევროკავშირის განაწესი № 852/2004 არეგულირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ჰიგიენურ წესებს, რომელთა მიხედვითაც მესამე ქვეყნის პასუხისმგებელმა ორგანომ ხსენებული პროდუქციის წარმოების პროცესის მონიტორინგი უნდა აწარმოოს. ევროკავშირის განაწესი № 2073/2005 განსაზღვრავს ხილისა და ბოსტნეულის მიკრობიოლოგიური შემადგენლობის მოთხოვნებს, ხოლო ევროკავშირის განაწესი № 29/2000 მცენარეთა იმ ჩამონათვალს შეიცავს, რომელთაც ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისას ფიტოსანიტარული სერტიფიკატი უნდა ახლდეს. ხსენებული სერტიფიკატი უნდა მოწმობდეს, რომ პროდუქცია თავისუფალია მისთვის დამახასიათებელი დაავადებებისაგან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირის ერთიანი ბაზარი, სახელწოდების მიუხედავად, არ ემორჩილება კანონმდებლობის ერთიან სისტემას და ერთობლივად რეგულირდება როგორც ევროკავშირის კანონმდებლობის, ისე ევროკავშირის წევრ ქვეყანათა ეროვნული კანონმდებლობების მიერ. სწორედ ამიტომ, ბროშურათა ციკლის შექმნის მთავარ მიზანს ევროკავშირის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებული იმ საკანონმდებლო აქტების ქართველი მწარმოებლებისათვის გასაგებ ენაზე გადმოცემა და მათი კონკრეტულ რეკომენდაციებად ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომელთა გათვალისწინების გარეშე ქართველ ექსპორტიორებს ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციის პროცესში გადაულახავი სირთულეები შეექმნებათ.

## ევროკავშირთან ვაჭრობაში არსებული არასატარიფო ბარიერების კონკრეტული მაგალითები

როგორც უკვე აღვნიშნა, მესამე ქვეყნის პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე შესაღწევად აუცილებელია, რომ ის ევროკავშირის ბაზრის ისეთ მკაცრ საკანონმდებლო მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, როგორებიცაა ჯანმრთელობის უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და სხვა. ხსენებული კანონმდებლობა, როგორც წესი, განსაზღვრავს პროდუქციის მახასიათებლებსა და მისი წარმოების მეთოდებს, ასევე მოიცავს პროდუქციასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, სიმბოლიკას, დაფასოების, შეფუთვის, მარკირების და ეტიკეტირების მოთხოვნებს. ე.წ. “შესაბამისობის შეფასების პროცედურები” კი განსაზღვრავენ ამ მოთხოვნების შესრულების მდგომარეობას.

მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციისათვის ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების მიერ დაწესებულ მოთხოვნებზე საუბრისას კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ბაზრის არასატარიფო ბარიერები ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების კანონმდებლობათა რთულ სინთეზს წარმოადგენს. შესაბამისად, პროდუქციის სახეობიდან გამომდინარე, მისი ევროკავშირის ბაზარზე შეტანა შესაძლოა ექვემდებარებოდეს მხოლოდ ევროკავშირის, ან როგორც არცთუ იშვიათად ხდება, ევროკავშირისა და მისი ცალკეული წევრი ქვეყნის საავტოო კანონმდებლობას. აღნიშნულის თვალსაზრისით მაგალითს წარმოადგენს მინერალური და სასმელი წყალი. წყალი პროდუქციის ის იშვიათი სახეობაა, რომლის ევროკავშირის ქვეყნებში იმპორტი ძირითადად ამ ქვეყნების კანონმდებლობით რეგულირდება. მიუხედავად ამისა, ევროკავშირში იმპორტირებულმა მინერალურმა და სასმელმა წყალმა მაინც უნდა დააკმაყოფილოს ევროკავშირის მიერ დაწესებული სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტს ევროკავშირის სამი სახის საკანონმდებლო აქტი არეგულირებს, ესენია:

- **ევრორეგულაციები** – რომელთაც პირდაპირი მოქმედება აქვთ და არ საჭიროებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში ასახვას.
- **ევროდირექტივები** – რომლებიც სავალდებულოა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისათვის და მოითხოვენ ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას. ამასთან, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ეძლევათ საშუალება, ეროვნული კანონმდებლობის საშუალებით თავად განსაზღვრონ ამ დირექტივებით გათვალისწინებული მიზნების შესრულების გზები;
- **ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებები** - ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების გზით, ევროკავშირის ინსტიტუტებს ეძლევათ ბერეკტები, შესაბამისი ზომები გაატარონ კონკრეტული პირების, კომპანიების ან წევრი ქვეყნის მიმართ.

მესამე ქვეყნებთან ვაჭრობისას ევროკავშირისათვის პრიორიტეტულია მოქალაქეების ჯანმრთელობის მაქსიმალური დაცვა, რის უზრუნველსაყოფადაც ევროკავშირი ფართოდ იყენებს არასატარიფო ბარიერებს, კერძოდ კი ე.წ. “ევროსტანდარტებს” როგორც სამრეწველო, ასევე სასურსათო პროდუქციისათვის. თვალსაზრისისათვის, ქვემოთ მოგვეყვას ევროკავშირის ზოგიერთი მოთხოვნა ჯანმრთელობის უსაფრთხოების სფეროში. ამასთან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირის არასატარიფო ბარიერები და მათ შორის, ევროკავშირის კანონმდებლობის ეს ნაწილი სისტემატიურად განახლების პროცესშია.

გადაშუქებული პროდუქციის მარკირება ნიშნით “CE” მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისათვის დაწესებული მოთხოვნაა, რომელიც განსაზღვრავს, რომ ევროკავშირის ბაზარზე შე-

მოტანილი პროდუქცია უსაფრთხოა მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის. “CE” მარკირების მოთხოვნა სავალდებულოა გადამამუშავებული მრეწველობის პროდუქციის ფართო ჩამონათვალისათვის. არსებობს პროდუქციის სამი ჯგუფი, რომელსაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს “CE” მარკირება, ესენია:

1. ყველა ახალი პროდუქცია, წარმოებული როგორც ევროკავშირის წევრ, ასევე სხვა ქვეყნები;
2. ევროკავშირში მესამე ქვეყნიდან იმპორტირებული გამოყენებული და მეორადი მოხმარების პროდუქცია;
3. არსებითად მოდიფიცირებული პროდუქცია, რომელზეც ახალი პროდუქტების მსგავსად, შესაბამისი ევროდირექტივები ვრცელდება.

“CE” მარკირება არ გამოიყენება მაგალითად ავეჯის, ტყავისა და ზოგიერთ საფეიქრო ნაწარმზე. “CE” მარკირების გამოყენება შეუძლია როგორც ევროკავშირის, ისე მის არაწევრ ქვეყანას, თუ ამ უკანასკნელის “შესაბამისობის შეფასების სისტემა” შესაბამისი ევროდირექტივების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. “CE” მარკირება უნდა გაკეთდეს უშუალოდ პროდუქტზე, მკაფიოდ და ადვილად შესამჩნევ ადგილას და იოლად არ უნდა ზიანდებოდეს. იმ შემთხვევაში, თუ მარკირების გაკეთება უშუალოდ პროდუქტზე შეუძლებელია, უნდა მოხდეს შეფუთვის მარკირება.

პროდუქციის ძირითადი ჩამონათვალი, რომელსაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს “CE” მარკირება, შემდეგია:

- სამშენებლო მასალები;
- მგზავრთა გადაყვანისათვის განკუთვნილი საბაგიროები;
- საქვაბუები;
- ელექტრომაციურები, საყინულეები და სხვა მსგავსი დანადგარები;
- სამედიცინო ხელსაწყოები;
- წნევის რეზერვუარები;
- ფეთქებადი აირების შესანახი აღჭურვილობა;
- ფეთქებადი მასალები სამოქალაქო მიზნებისათვის;
- ელექტროლიფტები;
- ბუნებრივი აირის ტექნიკური აღჭურვილობა;
- ელექტროაღჭურვილობა;
- მანქანა-დანადგარები;
- არაავტომატური ასაწონი მოწყობილობები;
- პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა;
- რადიო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები;
- სათამაშოები;
- სახლგაო მოწყობილობები;

- შესაფუთი მასალები;
- ჩქაროსნული სარკინიგზო სისტემები და ა.შ.

ევროკავშირში სურსათისა და საკვების უსაფრთხოების საკითხებს აწესრიგებს 2002 წლის №178/2002 რეგლამენტი,<sup>3</sup> რომელიც სურსათის შესახებ ევროკავშირის კანონის სახელითაა ცნობილი. ამ კანონის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს ადამიანთა ჯანმრთელობის და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ასევე, გაითვალისწინოს გარემოს დაცვითი საკითხები. ამ მიზნის მისაღწევად, სურსათის შესახებ კანონი ეფუძნება იმ რისკების დეტალურ ანალიზს, რომელსაც ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული კონკრეტული პროდუქცია შეიცავს. ასევე, ზედამხედველობის იმ პრინციპს, რომელიც ევროკავშირში სასურსათო პროდუქციის იმპორტის ყველა სტადიაზე (მიწოდება, დამუშავება, წარმოება, განაწილება და ა.შ.) აუცილებელი კონტროლის განხორციელებას გულისხმობს. ამ კუთხით სურსათის შესახებ კანონს, ბუნებრივია, მესამე ქვეყნების ექსპორტიორებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ევროკავშირში წარმატებით ფუნქციონირებს სურსათის უვნებლობის სპეციალური კონტროლის სისტემა - „საფრთხის ანალიზი და კრიტიკული კონტროლის პუნქტები“ (Hazard Analysis and Critical Control Points - HACCP). ეს არის პრევენციული სისტემა, რომელიც სურსათის წარმოებისა და რეალიზაციის ყველა ეტაპზე რისკების იდენტიფიცირებას და მათ აღმოფხვრას ემსახურება. ამ სისტემით ხდება როგორც ევროკავშირში წარმოებული სურსათის, ისე ევროკავშირის ბაზარზე სასურსათო პროდუქციის იმპორტის პროცესის კონტროლი.

კონტროლის ამ სისტემის (HACCP) მუშაობის ძირითადი პრინციპებია:

- საფრთხის ანალიზი, რომლის დროსაც განისაზღვრება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ციკლის დროს წარმოშობილი ყველა შესაძლო საფრთხე;
- პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის კრიტიკული საკონტროლო პუნქტების, ანუ იმ პუნქტების დადგენა, რომლებშიც პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესში არსებული პოტენციური საფრთხეების კონტროლი და თავიდან აცილება უნდა განხორციელდეს;
- პროფილაქტიკური ზომების გატარება, თითოეული საკონტროლო პუნქტისათვის კრიტიკული ზღვრების განსაზღვრის მიზნით;
- შესაბამისი პროცედურების დაწესება, რათა მოხდეს თვით კრიტიკული საკონტროლო პუნქტების კონტროლი და განისაზღვროს ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას თუ

3 იხილეთ **ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს** ვებ-გვერდი: [www.eugbc.net](http://www.eugbc.net) – Legislation, EU Regulations

- კრიტიკული ზღვრების დაცვა არ მოხერხდა;
- შემოწმების პროცედურების ჩამოყალიბება, დამატებითი ტესტირებებისა და პროცედურების ჩათვლით, რათა შემოწმდეს HACCP სისტემის ეფექტურობა;
- ყველა შესაბამისი პროცედურისა და ტესტის შედეგების დოკუმენტალურად გაფორმება.

ზემოხსენებული HACCP სისტემის ფუნქციონირება მჭიდრო კავშირშია ევროკავშირის ზოგიერთი არასატარიფო ბარიერის შემოღებასთან. მაგალითად, თევზის ნაწარმის ევროკავშირში ექსპორტირების მსურველები ვალდებული არიან შეასრულონ ევროდირექტივა 91/492/EEC<sup>4</sup> და ევროდირექტივა 91/493/EEC<sup>5</sup>, რათა თევზის ნაწარმის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის უფლება მიიღონ. აღნიშნული დირექტივები ექსპორტიორი ქვეყნების მიერ HACCP სისტემის დანერგვის მოთხოვნას შეიცავენ. შესაბამისად, ევროკომისიის მიერ ნებადართული მაკონტროლებელი ორგანო თევზის ნაწარმის გადამამუშავებელი საწარმოს ინსპექტირებას ახდენს. საწარმოს შეტანა იმ კომპანიების ნუსხაში, რომლებსაც თავიანთი პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირების უფლება გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ კომპანიის ინსპექტირების შედეგები დადებითია.

ევროკავშირის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ავალდებულებს ადგილობრივ მწარმოებლებს და იმპორტიორებს, მკაცრად დაიცვან ხსენებული კანონმდებლობით დადგენილი წესები და მოთხოვნები, კერძოდ, სასურსათო პროდუქტების ეტიკეტირებზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული შემდეგი ინფორმაცია:

- სახელწოდება, რომლითაც იყიდება პროდუქტი;
- პროდუქციის მწარმოებლის, დამფასოებელის, ან ევროკავშირის ბაზარზე დისტრიბუტორის სახელი და მისამართი;
- პროდუქციის ადგილმწარმოების ქვეყანა და წარმოების ადგილი, იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტის დასახელებამ მომხმარებელი შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს;
- პროდუქციის ვარგისიანობის ვადა სიტყვებით: “ვარგისია (თარიღი)-მდე” ან “ვარგისია (თარიღი)-ის ბოლომდე”;
- პროდუქციის შენახვის სპეციფიური მოთხოვნები ან მოხმარების/გამოყენების წესები;
- პროდუქციის მოხმარების ინსტრუქცია;
- პროდუქციის შემადგენელი კომპონენტების ჩამონათვალი (განსა-

4 იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდი:

[www.eugbc.net](http://www.eugbc.net) – Legislation, EU Regulations

5 იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდი:

[www.eugbc.net](http://www.eugbc.net) – Legislation, EU Regulations

- კუთრებული გამოწვევები შეეხება წყლის დანამატს კონცენტრატებიდან დამზადებულ პროდუქტში და ყველს);
- ზოგიერთ კომპონენტებთან დაკავშირებით მოთხოვნება განსაზღვრული ნიშანი ეტიკეტზე (მაგალითად, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები, შესაფუთი აირები, გამატკბოვანებული ნივთიერებები, ასპარტამები, ქინინი და კოფეინი);
  - სხვა კომპონენტები შეიძლება განისაზღვროს პროდუქციის კატეგორიის სახელით (ციმები, ცილები, ზეთები, თევზი, ყველი, სუნელები, მცენარეულობა, შაქარი, გლუკოზა, დექსტროზა, სიროფი, რძის ცილები, კაკაოს კარაქი, ბოსტნეული და ღვინო);
  - პროდუქციის კომპონენტების კატეგორია ან კომპონენტების რაოდენობა;
  - პროდუქციის დაფასობამდე პროდუქციის რაოდენობა, გამოხატული მეტრულ ერთეულებში (ლიტრი, მილილიტრი, კილოგრამი ან გრამი);
  - ალკოჰოლის პროცენტული შემცველობა სასმელებში, რომლებიც აჭარბებენ ალკოჰოლის შემცველობის 1,2%-ან ზღვარს;
  - პროდუქციის მწარმოებლის, დამფასებლის და/ან ევროკავშირის ბაზარზე პირველადისტრიბუტორის მიერ განსაზღვრული მარკირება, რომლის მიხედვითაც ხდება საქონლის იდენტიფიცირება.

სურსათისათვის (მათ შორის გაყინულისათვის) დამატებით აუცილებელია შემდეგი ინფორმაციის მითითება:

- მითითება “სწრაფად-გაყინული“ და “გაღლობის შემდეგ ხელახალი გაყინვა დაუშვებელია“;
- ვარგისიანობის მინიმალური ვადა;
- შენახვის მაქსიმალური ვადა;
- შენახვის ტემპერატურა ან შესანახი მოწყობილობა;

ზემოაღნიშნულის გარდა, ევროკავშირის სასურსათო პროდუქტების ბაზარზე ექსპორტირებისათვის დაწესებულია სხვა მოთხოვნები, მაგალითად სასურსათო პროდუქტებში პესტიციდების დასაშვებ მაქსიმალურ ზღვართან, მძიმე ლითონების შემცველობის დასაშვებ მაქსიმალურ ზღვართან, მიკრობიოლოგიური და რადიოაქტიური ელემენტების დონესთან და ა.შ. დაკავშირებით. ამასთან, ევროკავშირის აუცილებელი საკანონმდებლო მოთხოვნების გარდა არსებობს ევროკავშირის შიდა ბაზრის ნებაყოფლობითი მოთხოვნებიც, მაგალითად, ორგანული ანუ სოფლის მეურნეობის ნატურალური პროდუქტების მიმართ. თუმცა, ამ უკანასკნელ მოთხოვნებს უფრო მარკეტინგული დატვირთვა აქვთ და მათი დაკმაყოფილება ამა თუ იმ პროდუქტის მაღალი ხარისხის დემონსტრირების მიზნით ხორციელდება.

ევროკავშირის ბაზარზე სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებისა და

გარემოსდაცვითი საკითხებისადმი ყურადღების ზრდამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ევროკავშირში ორგანული, ანუ ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებას. ამ სახეობის პროდუქციის ექსპორტირებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ მესამე ქვეყნის ორგანული პროდუქცია მხოლოდ ევროკავშირის შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ შეიძლება იქნას აღიარებული ორგანულ, ანუ ნატურალურ პროდუქტად. ხსენებული პროცედურა მესამე ქვეყანაში ორგანული, ანუ ნატურალური პროდუქტის წარმოების წესების ევროპულ წესებთან შესაბამისობას ადგენს. შესაბამისად, ორგანული, ანუ ნატურალური სასურსათო პროდუქტებისათვის ევროკავშირის შემოღებული აქვს სპეციალური ლოგო, რომელიც მიუთითებს, რომ ამ პროდუქტებმა გაიარეს ევროკავშირის შესაბამისი შემოწმების სქემა.

## **ევროკავშირის ერთიანი ბაზრის შექმნა, მისი განვითარება და უზენაესონიერების მნიშვნელოვანი ასპექტები**

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ერთიანი ბაზრის შექმნა ევროპული ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთ მთავარ მიღწევადაა მიჩნეული. ყოველივე ეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობისა და თავისუფალი კონკურენციის ხელისშემშლელი ბარიერების თანდათანობითი გაუქმების გზით განხორციელდა. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ერთიანი ბაზარი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულია ერთიან ეკონომიკურ სივრცედ თუნდაც იმ მიზეზით, რომ ეკონომიკის ზოგიერთი სექტორი, მაგალითად, საგადასახადო და სოციალური დაცვის სისტემები კვლავაც ევროკავშირის წევრ ქვეყანათა ეროვნული კანონმდებლობებით რეგულირდება.

სასარგებლოდ მიგვაჩნია ევროკავშირის ერთიანი ბაზრის შექმნის ზოგიერთი ისტორიული მომენტის აღნიშვნა, ვინაიდან ევროკავშირის ერთიანი ბაზრის განვითარების ტენდენციები სწორედ ისტორიული მოვლენებითაა ნაკარნახევი.

1957 წელს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის დადებულმა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შესახებ შეთანხმებამ შესაძლებელი გახადა ამ თანამეგობრობის ფარგლებში საბაჟო ბარიერების გაუქმება და ეკონომიკური თანამეგობრობის ფარგლებს გარედან შემოტანილი პროდუქციისათვის ერთიანი საბაჟო ტარიფის შემოღება. ხსენებული შეთანხმებით განსაზღვრული ამოცანების სრულად შესრულება მხოლოდ 1968 წელს, ანუ თერთმეტი წლის შემდეგ მოხერხდა.

მიუხედავად მიღწეულისა, პროდუქციის წარმოების განსხვავებული ტექნიკური ნორმები, ჯანმრთელობის დაცვისა და სასურსათო პროდუქციის

უსაფრთხოების შეუთავსებელი სტანდარტები, გარკვეული სახის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ ქვეყანათა ეროვნულ კანონმდებლობებს შორის განსხვავებები, ადამიანთა, პროდუქციისა და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასთან დაკავშირებული შეზღუდვები, ევროკავშირის ერთიანი ბაზრის მიერ შექმნილი შესაძლებლობების სრულად გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა.

შესაბამისად, შექმნილმა მდგომარეობამ თავად უკარნახა ევროკავშირის ხელისუფალთ, თუ რა მიმართულებით უნდა გადადგმულიყო შემდგომი ნაბიჯი. შესაბამისად, 1985 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა წინადადება, რომლის მიხედვითაც მომავალი შვიდი წლის განმავლობაში ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში უნდა გაუქმებულიყო ყველა ტექნიკური და საგადასახადო ბარიერი, რომელიც ადამიანთა და საქონლის თავისუფალ გადაადგილებას უკავშირდებოდა. ხსენებული ნაბიჯის მიზანი გახლდათ საწარმოო და კომერციული საქმიანობის სტიმულირება. ევროკომისიის ინიციატივის განხორციელების მთავარ ინსტრუმენტად იქცა ე.წ. ერთიანი ევროპული აქტი, რომლის ხელმოწერითაც ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის კომპეტენციები და სპეციალური საკანონმდებლო პროგრამის განხორციელების გზით, ევროპის ერთიანი ბაზრისათვის ასობით საერთო ევროპული ღირებულება და რეგულაცია შეიმუშავეს.

საინტერესოა, თუ როგორ შეიძლება დავახასიათოთ ევროკავშირის ერთიანი ბაზარი დღეს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბაზრის ფარგლებში ყველა სახის საბაჟო-სასაზღვრო კონტროლი როგორც პროდუქციაზე, ისე ადამიანთა გადაადგილებაზე გაუქმებულია. 1985 წელს დადებული ე.წ. შენგენის შეთანხმება არეგულირებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ადამიანთა გადაადგილებასთან დაკავშირებულ საპოლიციო და საემიგრაციო თანამშრომლობას. შესაბამისად, შესაძლებელი გახდა ევროკავშირის შიდა საკონტროლო-გამშვები პუნქტების სრულად გაუქმება. პროდუქციის დიდი უმრავლესობისათვის ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა შემოიღეს ეროვნულ კანონმდებლობათა ე.წ. ურთიერთცნობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი პროდუქციისათვის, რომელიც ლეგალურად არის წარმოებული ევროკავშირის სივრცეში და გაყიდვაშია ევროკავშირის წევრ ერთ-ერთ ქვეყანაში, ევროკავშირის წევრი ყველა დანარჩენი ქვეყნის ბაზრებიც ღიაა.

ეროვნულ კანონმდებლობათა ურთიერთცნობის შესახებ ანალოგიური შეთანხმების საფუძველზე ლიბერალიზირებულია ევროკავშირის მომსახურების სექტორიც. შედეგად, ევროკავშირის ნებისმიერი წევრი ქვეყნის მოქალაქისათვის ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყანაში საქმიანობისას, მოხსნილია ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეთათვის უპირატესობის მიმნიჭებელი შეზღუდვები ისეთ პროფესიულ სექტორებში, როგორებიცაა იურისპრუდენცია, მედიცინა, ტურიზმი, საბანკო და სადაზღვევო სფერო. კმედიითი ნაბიჯები იქნა გადადგმული დასაქმების

სფეროს განსამტკიცებლად და დღესდღეობით, ევროკავშირის წევრ ერთ ქვეყანაში გაცემული დიპლომა ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი სავალდებულო წესით გახლავთ აღიარებული ევროკავშირის წევრ ყველა დანარჩენ სახელმწიფოში. მნიშვნელოვანია, რომ შემცირებულ იქნა საგადასახადო ბარიერები ევროკავშირის წევრი ქვეყნების დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილობრივი პარმონიზაციის გზითაც. ამასთან, 2005 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ადრე მიღწეული შეთანხმება ინვესტიციების დაბეგვრის საერთო წესის შემოღების შესახებ. საგულისხმოა, რომ მომსახურების და მიწოდების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის, მაგალითად ისეთ სფეროებში, როგორიცაა ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაციები, საერთო ევროპული დირექტივებისა და განაწესების შემუშავების შედეგად, ევროკავშირის ნებისმიერი წევრი ქვეყნის, ან რეგიონალური, თუ ადგილობრივი ორგანოს მიერ გამოცხადებული ტენდერი ღია და ხელმისაწვდომია ევროკავშირის წევრი ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი ორგანიზაციისათვის.

2005 წელსვე დასრულდა ევროკავშირის გეგმა, რომელიც საფინანსო მომსახურების ინტეგრირებული ბაზრის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. ამ გზით ევროკავშირის ბაზარზე საკრედიტო განაკვეთებმა სესხის ამღებთა სასარგებლოდ მნიშვნელოვნად იკლო, ხოლო ევროკავშირის მოქალაქეებს საინვესტიციო თუ სავაჭრო მომსახურების პროდუქტების არჩევანი გაეზარდათ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბანკებს შორის ფულადი გადარიცხვების საკომისიო გადასახადი ასევე საგრძნობლად შემცირდა.

კონკურენციის წესების პარმონიზება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლავთ, რომელიც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ერთიანი ბაზრის განმტკიცების მიმართულებით გადადგეს. მათ ურთიერთშესაბამისობაში მოიყვანეს ბაზარზე შეღწევისთან, მუშახელის კვალიფიკაციასთან, ბიზნესის შექმნისა და მომსახურების გაწევის თავისუფლებასთან და სხვა სექტორებთან დაკავშირებული ნორმები. ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა განსაკუთრებით სასურველი შედეგები იქონია როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის ევროპული ბაზრის ახალი ტემპებით განვითარებაზე. ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა ბიზნესებს შორის შეთანხმებების დადების, ცენტრალური თუ ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების მიერ დახმარების აღმოჩენის გზით ბაზარზე ზემოქმედების, მონოპოლიების ჩამოყალიბების და სხვა მსგავსი პროცესების მკაცრ მონიტორინგს ითვალისწინებს. მაგალითად, საერთო ევროპული კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების კომპანიებმა შეტყობინება უნდა გაუგზავნონ ევროკომისიას მათ შორის შეთანხმების დადებამდე, მაგალითად კომპანიების შერწყმის შემთხვევებში. საკითხის სათანადოდ შესწავლის შემდეგ ევროკომისია “მწვანე შუქს” აძლევს კომპანიებს კომერციული გარიგების გაფორმებაზე, ან უკრძალავს მათ ასეთი გა-

რიგების გაფორმებას. შესაბამისი შეტყობინების გაუგზავნელობის შემთხვევებში, ევროკავშირის კომპანიებს ევროკომისიის მხრიდან მკაცრი ჯარიმები ემუქრებათ.

ევროკავშირის ერთიანი ბაზრის რეგულირების შემადგენელი ნაწილია ევროკავშირის მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკა. ის ევროკავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს.

ევროკავშირის მესამე ქვეყნებთან ვაჭრობაში სატარიფო ბარიერების თანდათანობითი შემცირების პარალელურად, თავად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში იქმნებოდა სხვადასხვა სახის არასატარიფო, ძირითადად პროდუქციის შეფუთვისთან, მარკირებასთან დაკავშირებული და სხვა ანალოგიური სახის ტექნიკური ბარიერები. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული ბარიერები მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვასა და მათ უსაფრთხოებას ემსახურება, ევროკავშირის ინსტიტუტებში კარგად ესმით, რომ ისინი ზოგჯერ არასამართლიანად გამოიყენება მესამე ქვეყნიდან შემოტანილი პროდუქციისაგან ევროკავშირის ერთი ცალკეული წევრი ქვეყნის ბაზრის “დასაცავად”. ევროკავშირის ერთიანი პარმონიზირებული ბაზრის შემდგომ განვითარებას და განმტკიცებას, ბუნებრივია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის თვალსაზრისითაც.

## **ევროკავშირის მიერ განვითარებადი ქვეყნების მიმართ ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობაში წარმოებული სავაჭრო პოლიტიკა**

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკათა სტიმულირება ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შესაბამისად, ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს განვითარებადი ქვეყნების საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობა წარმოადგენს. სწორედ ესაა მესამე ქვეყნებთან ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველი. ევროკავშირი მუდმივად ცდილობს, რომ ვაჭრობის გლობალური სისტემის განვითარების დადებითი შედეგებით განვითარებადმა ქვეყნებმაც ისარგებლონ. ამ კონტექსტში, განვითარებად ქვეყნებთან ვაჭრობაში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შემცირება ევროკავშირისათვის, ბუნებრივია, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად, ევროკავშირმა მტკიცედ დაუჭირა მხარი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, რომ განვითარებადი ქვეყნების მსოფლიოს სავაჭრო სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობა მიმდინარე მოლაპარაკებების დღის წესრიგის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი

გამხდარიყო. შესაბამისად, დასაბამი მიეცა მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების ახალ ფაზეს, რომელსაც დოჰას განვითარების დღის წევრი (Doha Development Agenda) ეწოდა. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს საერთაშორისო ვაჭრობის ხელისშემშლელი ბარიერების შემცირებას და განვითარებადი ქვეყნების დახმარებას მსოფლიო ბაზარზე შეღწევის მექანიზმების გაუმჯობესების გზით, რათა მათ მსოფლიო სავაჭრო სისტემის ლიბერალიზაციის პროცესის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობების უკეთ გამოყენება შეძლონ.

ზემოხსენებული ამოცანის შესრულების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირმა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებებზე წარმოადგინა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა, მათ შორის, სამრეწველო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე შეღწევის გაიოლების საკითხი. ამ კუთხით, ევროკავშირის ინიციატივა იმაში მდგომარეობს, რომ სამრეწველო პროდუქციაზე მნიშვნელოვნად შემცირდეს საბაჟო ტარიფები. მაღალგანვითარებულ ქვეყნებს კი ევროკავშირი მოუწოდებს, რომ განვითარებად ქვეყნებს მისცენ მსოფლიო ბაზარზე გაიოლებული შეღწევის შესაძლებლობა, მნიშვნელოვნად შემცირებული ტარიფებითა და რაოდენობრივი შეზღუდვების გარეშე. საყურადღებოა, რომ ევროკავშირის ხსენებული ინიციატივა ეხება სამრეწველო და არა სასურსათო პროდუქციას. სამრეწველო პროდუქცია კი არ განეკუთვნება წინამდებარე ბროშურის პირველ თავში ნახსენებ ევროკავშირისათვის ე.წ. “მგრძნობიარე” პროდუქციას.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ევროკავშირის მიერ ე.წ. სექტორული ინიციატივების მხარდაჭერა, რაც განვითარებადი ქვეყნების წარმოების შედარებით უფრო დასაქმებული საექსპორტო სფეროებისათვის, მაგალითად, საფეიქრო წარმოებისათვის ნულოვანი საბაჟო გადასახადის დაწესებას გულისხმობს.

ევროკავშირის ხსენებული პოზიციის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებად ქვეყნებს შორის ვაჭრობაში სატარიფო ბარიერების შემცირებას. ცნობილია, რომ ხსენებული ტარიფების დაახლოებით 70%-ს განვითარებადი ქვეყნები სხვა განვითარებად ქვეყნებს უხდიან. ბუნებრივია, სატარიფო ბარიერები განვითარებად ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაღრმავების ხელშემშლელი მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია. სწორედ ამ და სხვა ფაქტორთა გამო, განვითარებად ქვეყნებს შორის ვაჭრობა მათი მთლიანი სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 10%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობაში 40%-ის ფარგლებში მერყეობს. ამდენად, სავარაუდოდ, ზემოხსენებული ინიციატივების მხარდაჭერით, ევროკავშირი განვითარებად ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაღრმავების სტიმულირებას ცდილობს.

მრავალმხრივ ფორმატებში მოლაპარაკებებისას, ევროკავშირი არასატარიფო ბარიერების თემას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს,

კარგად ესმის რა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის აღნიშნული ბარიერების დაძლევის საკითხის გადაჭრა. ამ კუთხით, ევროკავშირი აშკარად ემხრობა ე.წ. ჰორიზონტალური მექანიზმების შემუშავებას, ანუ თავის ბაზარზე განვითარებადი ქვეყნების პროდუქციისათვის არასატარიფო ბარიერების ცალმხრივად შემცირების ნაცვლად, აღნიშნულ საკითხზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებს შორის მრავალმხრივი მოლაპარაკებების გზით, ევროკავშირი ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებას უჭერს მხარს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ევროკავშირის ბაზარზე საკვები პროდუქციის იმპორტირებისას, ისეთი არასატარიფო ბარიერების შენარჩუნება, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვასა და სურსათის უვნებლობის სტანდარტების დაცვას ემსახურება, ევროკავშირს სამართლიანად მიაჩნია. მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვა და მისი ხარისხიანი პროდუქციით უზრუნველყოფა ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელია და ევროკავშირის ფარგლებში წარმოების უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობი ძირითადი ფაქტორია. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ევროკავშირი ყოველმხრივ ცდილობს გადაუღახავი ბარიერები შეუქმნას მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე უხარისხო და მომხმარებლისათვის რისკის შემცველი პროდუქციის შემოდინებას.

ევროკავშირში კარგად ესმით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მსოფლიო ბაზრის შემდგომი გაფართოებისა და სავაჭრო ბარიერებისაგან გათავისუფლების პროცესში განვითარებადი ქვეყნებისადმი განსაკუთრებული მიდგომა უნდა შემუშავდეს. ამ კუთხით, ბუნებრივია, ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ განვითარებად ქვეყნებს სოფლის მეურნეობის განვითარების არათანაბარი პოტენციალი აქვთ და ამ სექტორის შემდგომმა ლიბერალიზაციამ, შესაძლოა, ზოგიერთი მათგანის წილი მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაზარდოს, ხოლო სხვებს კიდევ უფრო არახელსაყრელი კონკურენციის პირობები დაუწესოს. მსოფლიოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას უდავოდ შეუწყობს ხელს დოჰის განვითარების დღის წესრიგით განსაზღვრული ამოცანების რეალიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს განვითარებადი ქვეყნებისათვის განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე გამარტივებული შეღწევის უზრუნველყოფას და განვითარებულ ქვეყნებში საექსპორტო და იმ შიდა სუბსიდირების გაუქმებას, რაც უარყოფითად მოქმედებს კონკურენტული გარემოს შექმნაზე.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული წესები იცავენ მის წევრ, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს, ვაჭრობაში დისკრიმინაციისაგან და ამავე დროს, უზრუნველყოფენ ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების შეუქცევადობას. 2004 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დაწყებულმა სავაჭრო ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით მიმდინარე მრავალმხრივმა მოლაპარაკებებმა წარმოაჩინა საბაჟოსა და საზღვრის მართვის საკითხებში ნაკლებშემოსავლიანი

ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის აუცილებლობა. ამ მიმართულებით ევროკავშირი წამყვანი დონორია. დადგენილია, რომ მხარეებს შორის ვაჭრობაში მოქველებულ და არაეფექტურ საბაჟო-სასაზღვრო პროცედურებთან დაკავშირებულმა დანაკარგებმა, ხშირ შემთხვევაში, სრული ხარჯების 4-5%-ს შეიძლება მიაღწიოს. ეს მაჩვენებელი უტოლდება განვითარებული ქვეყნების მიერ სამრეწველო პროდუქციაზე დაწესებულ საბაჟო გადასახადის ოდენობას. ამიტომაც, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საბაჟო და სასაზღვრო პროცედურები გახდეს გამჭვირვადი, გათავისუფლდეს ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერებისაგან, შეიქმნას კონტროლის თანამედროვე, უფრო ეფექტური მექანიზმები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიზნეს გარემოს და უზრუნველყოფს მაღალ საბაჟო შემოსავლებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვაჭრობის ლიბერალიზაციის პარალელურად ევროკავშირი ყოველმხრივ უწყობს ხელს ისეთი მოქნილი მექანიზმების შექმნას, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს საშუალებას მისცემს მაქსიმალურად ისარგებლონ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში შექმნილი შესაძლებლობებით. ამ კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებების თანახმად, განვითარებად ქვეყნებს განსაკუთრებული უფლებები ენიჭებათ და საშუალება ეძლევათ ისარგებლონ ე.წ. “გამონაკლისი წესებით”. განვითარებადი ქვეყნების მიმართ ამგვარი მიდგომის პრინციპს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში “განსაკუთრებული და განსხვავებული მიდგომა” ეწოდება. ხსენებულის თანახმად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემოღებული ნებისმიერი ახალი წესის განვითარებად ქვეყანაზე გავრცელებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ამ ქვეყნის ძირითადი თავისებურებანი. ამასთან ხსენებულ ქვეყნებს ეძლევათ მეტი დრო ახალი წესების ეროვნულ კანონმდებლობაში გასათვალისწინებლად და მათი აღსრულების მექანიზმების დასაწესებლად. ევროკავშირის პოზიცია ამ საკითხში ითვალისწინებს კიდევ უფრო მოქნილი მექანიზმების შექმნას, რათა განვითარებადმა ქვეყნებმა უფრო ეფექტურად მოახერხოთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებულ წესებთან ადაპტაცია და შედეგად, გლობალურ ეკონომიკაში სრულფასოვანი ინტეგრირება.

მნიშვნელოვანია, რომ ბაზარზე შეღწევის გაიოლებული წესები არაეფექტური აღმოჩნდება, თუ თავად განვითარებად ქვეყანას არ გააჩნია საკმარისი ადმინისტრაციული და საკანონმდებლო რესურსი, რათა მსოფლიო სავაჭრო სისტემის მიერ შექმნილი შესაძლებლობებით სათანადოდ ისარგებლოს. ასეთი რესურსის შესაქმნელად საგარეო ვაჭრობა ქვეყნის განვითარების პოლიტიკისა და სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად უნდა იქცეს. განვითარების პროცესში ვაჭრობის საკითხების ინტეგრირება ევროკავშირის განვითარების პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია. ამიტომ, ვაჭრობა ევროკავშირის მესამე ქვეყნებთან ურთიერთობების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია.

ამ კონტექსტში, არ არის გასაკვირი, რომ ვაჭრობასთან დაკავშირებული დახმარების გაწევას ევროკავშირი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილი დახმარების სპეციალური ფონდის “Global Trust Fund” დაფინანსების 60% ევროკავშირზე მოდის.

ევროკავშირი აქტიურია ასევე განვითარებად ქვეყნებთან ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით. ამ კუთხით, აღსანიშნავია ევროკავშირის ინიციატივა, რომელიც ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნებთან უკრაინასთან, მოლდოვასთან, საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის დაწესების შესაძლებლობების შესწავლას ითვალისწინებს. საყურადღებოა ასევე, რომ მიმდინარე ეტაპზე ევროკავშირი ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმებებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს აფრიკის, წყნარი ოკეანისა და კარიბის ზღვის ქვეყნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ გახლავთ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სტანდარტული შეთანხმებები, ვინაიდან ისინი არა არსებულ ბაზრებზე შედგენილი, არამედ ახალი სავაჭრო კავშირების შექმნასა და განვითარებას ისახევენ მიზნად.

განვითარებად ქვეყნებთან მრავალმხრივი და ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების პარალელურად, ევროკავშირი ინტენსიურად ამუშავებს ბაზარზე შეღავათიანი შედგენის ცალმხრივ სქემებს, ე.წ. პრეფერენციათა (შეღავათების) განზოგადებული სისტემის (GSP) ფარგლებში. ამ გზით ევროკავშირი განვითარებად ქვეყნებს საკუთარ ბაზარზე შედგენის უპირატეს პირობებს ნებაყოფლობით უქმნის, რაც განვითარებად ქვეყნებს მათი ექსპორტის ხელშეწყობაში ეხმარება.

აღსანიშნავია, რომ GSP ევროკავშირმა 1971 წელს პირველმა შემოიღო. ევროკავშირის დღეისათვის მსოფლიოს 180-ზე მეტი ქვეყნისათვის აქვს მინიჭებული GSP-ით მოსარგებლე ქვეყნის სტატუსი, რაც ამ ქვეყნებს საშუალებას აძლევს ევროკავშირის ბაზარზე საქონელი შემცირებული ან ნულოვანი ტარიფით შეიტანონ.

2005 წლამდე ევროკავშირის GSP-ს სქემა შედგებოდა ხუთი ქვესქემისაგან:

1. ზოგადი სქემა. არსებულ სატარიფო განაკვეთს აკლდებოდა 3.5 პროცენტი
2. სპეციალური სქემა შრომის უფლებათა დაცვისათვის. არსებულ სატარიფო განაკვეთს აკლდებოდა 8.5 პროცენტი
3. სპეციალური სქემა გარემოს დაცვისათვის. არსებულ სატარიფო განაკვეთს აკლდებოდა 8.5 პროცენტი
4. სპეციალური სქემა ნარკოტიკების და ტრეფიკინგინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ითვალისწინებდა ევროკავშირის ბაზარზე ნულოვანი საბაჟო გადასახადით შეღწევას.

5. სპეციალური სქემა დაწესებული უღარიბესი, ანუ ე.წ. ყველაზე ნაკლებად განვითარებული (Least Developed Countries) ქვეყნებისთვის – “ყველაფერი იარაღის გარდა”. ყველა პროდუქტი იარაღის და ამუნიციის გარდა სარგებლობდა ევროკავშირის ბაზარზე ნულოვანი საბაჟო განაკვეთით, ასევე მათ არ ეხებოდათ არანაირი რაოდენობრივი შეზღუდვები.

2005 წლიდან ევროკავშირმა კიდევ უფრო გააიოლა საკუთარი GSP და შესაბამისი ქვესქემების რაოდენობა სამამდე შეამცირა:

1. ზოგადი სქემა.
2. სპეციალური სქემა დაწესებული უღარიბესი ქვეყნებისთვის – “ყველაფერი იარაღის გარდა” შენარჩუნდა უცვლელად.
3. ახალი სპეციალური სქემა “GSP+” - მასში გაერთიანდა სპეციალური სქემა შრომის უფლებათა დაცვისათვის, სპეციალური სქემა გარემოს დაცვისათვის და სპეციალური სქემა ნარკოტიკების და ტრეფიკინგინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომლის მიმღები, ანუ ბენეფიციარი, ევროკომისიის გადაწყვეტილების<sup>6</sup> მიხედვით, სხვა 14 ქვეყანასთან ერთად საქართველოც არის.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის GSP ანალოგიურ სავაჭრო შეღავათებს შორის ყველაზე ფართოა. 2005 წელს ამოქმედებულმა ე.წ. GSP+-მა 7200 სახეობის პროდუქცია მოიცვა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ იმ საქონლის ჩამონათვალიდან, რომელიც ევროკავშირის ზოგად საბაჟო სატარიფო განაკვეთებშია მოცემული (სულ დაახლოებით 11000 სახეობა), 2100-მდე სახეობის პროდუქტს ევროკავშირი ისედაც ანიჭებს ნულოვან საბაჟო განაკვეთს. აქედან გამომდინარე, თუ ამ საქონლის ჩამონათვალს დაემატებთ GSP+-ის სქემით მოცული საქონლის ჩამონათვალს, დავინახავთ, რომ ამ სქემის მიმღებ ქვეყნებში წარმოებულ 9300 დასახელების პროდუქტს ევროკავშირის ბაზარზე დღეისათვის ნულოვანი საბაჟო ტარიფით შეუძლია შეღწევა, რაც ამ ქვეყნებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგია.

ფოქრობთ საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ 2000 წლის 18 სექტემბერს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებზე ევროკავშირმა გააგრძელა ე.წ. “ასიმეტრიული სავაჭრო პრეფერენციები” - ცალმხრივი სავაჭრო შეღავათები, რომლის მიხედვით, ხსენებული ქვეყნებიდან ევროკავშირში შეტანილი პროდუქციის თითქმის ყველა სახეობა, ცალკეული გამოწვევების გარდა, გათავისუფლდა საბაჟო გადასახადებისაგან და რაოდენობრივი შეზღუდვებისაგან. საგულისხმოა, რომ ხსენებულ გამოწვევების ჩამონათვალში მოხვდნენ ევროკავშირისათვის “მგრძნობიარე” ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა ღვინო და თევზის ზოგიერთი ნაწარმი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნე-

6 იხილეთ **ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს** ვებ-გვერდი:

[www.eugbc.net](http://www.eugbc.net) – Legislation, EU Regulations

ბისათვის, პროდუქციის ხსენებულ სახეობებზე ევროკავშირმა მნიშვნელოვნად შემცირებული საბაჟო ტარიფი დააწესა. ამდენად, ევროკავშირის ასიმეტრიული სავაჭრო პრეფერენციები GSP-ზე ფართო შეღავათებს მოიცავს. მაგალითისათვის გამოდგება ღვინის ნაწარმი, რომელზეც GSP-ის სავაჭრო შეღავათები არ ვრცელდება და მასზე საბაჟო ტარიფის შემცირებას ევროკავშირი დღემდე არაფრით თანხმდება.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ 2006 წელს ანალოგიური სავაჭრო რეჟიმი, ამჯერად “ავტონომიური სავაჭრო პრეფერენციების” სახელით, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ევროკავშირმა შესთავაზა მოლდოვას. საზგასანმელია, რომ ევროკავშირი-მოლდოვას სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ევროკავშირის GSP-ით გათვალისწინებული სავაჭრო შეღავათების ზემოხსენებული ე.წ. “ავტონომიური სავაჭრო პრეფერენციებით” თანდათანობით ჩანაცვლებას ითვალისწინებს.

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია იმის საზგასანმად, რომ ევროკავშირის GSP, განვითარებად ქვეყნებს მხოლოდ სატარიფო შეღავათებს სთავაზობს. არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებით კი ევროკავშირის სავაჭრო შეღავათები არასოდეს შეუშუშავენია, რაც დაბალი საბაჟო განაკვეთების პირობებშიც კი, განვითარებად ქვეყნებს ევროკავშირის ბაზარზე შედწევის გადაუღალავ წინააღმდეგობებს უქმნის.

## **საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვაჭრობის ამჟამად არსებული საკანონმდებლო ბაზა და მისი გაფართოების მიმართულებით დაგეგმილი შემდგომი ნაბიჯები**

საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითად სამართლებრივ საფუძველს მხარეებს შორის 1996 წელს გაფორმებული და 1999 წელს ძალაში შესული „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ (Partnership and Cooperation Agreement - PCA) განსაზღვრავს. ხსენებული შეთანხმების გაფორმებით, რომელმაც ევროგაერთიანებებსა და საბჭოთა კავშირის შორის 1989 წელს ხელმოწერილი ეკონომიკური და კომერციული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ჩანაცვლა, მხარეებმა აიღეს ვალდებულება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესების და მიზნების შესაბამისად, განახორციელონ ერთმანეთთან ვაჭრობის ლიბერალიზაცია. „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერით ევროკავშირმა და საქართველომ ეკონომიკური ურთიერთობების განსახორციელებლად თვისობრივად ახალი, ვაჭრობაზე და ინვესტიციებზე ორიენტირებული გარემოს შექმნის ვალდებულება აიღეს. ამ ხელშეკრუ-

ლების თანახმად, მხარეებს შორის ახალი ტიპის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაა. შეთანხმების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმების შეუქცევადობასა და წარმატებას, ასევე საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას. საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური სისტემის გარდაქმნამ, თავისი მხრივ, ბიძგი უნდა მისცეს ჰარმონიულ სოციალურ განვითარებას. ყოველივე ეს, ბუნებრივია, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთმომგებიანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების ფონზე უნდა მიმდინარეობდეს. შეთანხმების ხელმოწერით ევროკავშირმა აიღო ვალდებულება მხარდაჭერა გაეწია საქართველოსათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გზით, ასევე მიეცა რეკომენდაციები ეკონომიკური სფეროს გარდაქმნისა და სრულყოფისათვის.

ზოგად დებულებათა განსაზღვრის გარდა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კონკრეტულ სფეროებსაც ეხება. კერძოდ, შეთანხმება განსაზღვრავს მხარეების მიერ კონკურენციის შესახებ კანონმდებლობების გამოყენების წესს, პროდუქციითა და მომსახურებით ვაჭრობის ძირითად პრინციპებს, მხარეების მიერ ინვესტირების ხელშეწყობისა და დაცვის პირობებს. ხელშეკრულება ასევე მოიცავს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვისა და ენერგომატარებლებით ვაჭრობის საკითხებს, ტურიზმის სფეროში ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს, ინტელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების დაცვას და სხვა მნიშვნელოვან თემებს.

2004 წლის 14 ივნისს საქართველოს ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში (European Neighbourhood Policy) ჩართვამ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა.

ხსენებული პოლიტიკა, რომელიც ევროკავშირის გაფართოების ბოლოდროინდელი, მის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ტალღის გამოცხადებას წარმოადგენს, მონაწილე ქვეყნებს ახალი სახის, ძალზე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას სთავაზობს. ევროკავშირის ამოცანაა, რომ ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართულ ქვეყნებს ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის, კერძოდ კი ევროკავშირის შიდა ბაზარში ჩართვისა და ე.წ. „ოთხი თავისუფლების“ – ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების თანდათანობით გავრცელების გზით, ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივა დაუსახოს.

მხარეთა შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ზემოთ ხსენებული პერსპექტივა სრულად აისახა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში 2006 წლის 14 ნოემბერს ხელმოწერილ საქართველო-ევროკავ-

შორის სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული სამოქმედო გეგმით დასახულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად უნდა დაუახლოვონ საქართველოს კანონმდებლობა და სტანდარტები ევროკავშირის შესაბამის ნორმებს. ამ გზით მყარი საფუძველი ჩაეყარება საქართველოს ევროკავშირში ეკონომიკურ ინტეგრაციას. მხარეებმა უნდა გაუსხსნან ერთმანეთს ბაზრები და სატარიფო და არასატარიფო ბარიერების თანდათანობითი შემცირების გზით, ვაჭრობისა და ინვესტიციების სტიმულირება მოახდინონ. აღნიშნული სამოქმედო გეგმა გულისხმობს ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივ მუშაობას სავაჭრო ურთიერთობების გასაღრმავებლად, მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების ჩათვლით. ამის გარდა, მხარეებმა ძალისხმევა უნდა მიმართონ, რათა საქართველომ შეძლოს ევროკავშირის სამრეწველო, სანიტარული და ფიტოსანიტარული, ასევე ვეტერინარული სტანდარტების დაკმაყოფილება. ამით გაიზრდება ევროკავშირის პრეფერენციათა გენერალიზირებული სისტემის ეფექტურობა და ხელი შეეწყობა საქართველოს ექსპორტს არა მხოლოდ ევროკავშირის ბაზარზე, არამედ სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ სამოქმედო გეგმის შესაბამისად, მხარეები ჩაერთვნენ ორმხრივი ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებებში, გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის მიზნით.

ამდენად, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ხელმოწერულ საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმას მხარეთა შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თვისობრივად ახალ დონეზე გადაჰყავს და ძალზე კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების გზით, ევროკავშირთან ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივებს ხსნის.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც რუსეთის ემბარგოს შედეგად შეფერხდა ქართული პროდუქციის მისთვის ტრადიციულ ბაზრებზე რეალიზაცია. ამ თვალსაზრისით, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება ქვეყნის ხელისუფლების და ექსპორტიორების გადაუდებელ ამოცანად იქცა, რამაც, თავის მხრივ, საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ეკონომიკური ნაწილის განხორციელება დააჩქარა. ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება თანამშრომლობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად იქნა აღიარებული და შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების საქმიანობა ორი ძირითადი მიმართულებით წარმართა:

1. ევროკავშირთან ვაჭრობაში საბაჟო-სატარიფო შეღავათების უფრო ეფექტურად გამოყენება და არსებული ტარიფების კიდევ უფრო შემცირება;
2. კანონმდებლობის ჰარმონიზების, შესაბამისი ადმინისტრაციული რეფორმებისა და ევროპული სტანდარტების დანერგვის გზით,

ქართული პროდუქციის მიერ ევროკავშირის არასატარიფო ბარიერების გადალახვის ხელშეწყობა.

ევროკავშირთან ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების გაუქმება/დაწვევის მიმართულებით საქართველოს წინაშე ამჟამად მდგარი ამოცანებია:

- ევროკავშირის პრეფერენციათა გენერალიზირებული სისტემით (GSP+) გათვალისწინებული სავაჭრო შეღავათების მეტად პოპულარიზება, რათა ქართველ ექსპორტიორთა შორის ამ შეღავათების მომხმარებელთა რიცხვმა იმატოს.
- ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება;

ევროკავშირთან ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერების გადალახვის მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ ამოცანას საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღვინის, სპირტის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციით ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმების გაფორმება წარმოადგენს. აღნიშნულმა შეთანხმებამ, ქართული საექსპორტო პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის გარდა, მხარეების მიერ პროდუქციის გეოგრაფიულ აღნიშვნათა და ადგილწარმოშობის დასახელებათა ურთიერთაღიარება და დაცვა უნდა განაპირობოს, რაც ევროპულ ბაზარზე ქართული პროდუქციის ფალსიფიცირებასთან ბრძოლის მძლავრი იარაღი გახდება.

საგულისხმოა, რომ, მიმდინარე ეტაპზე, როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო ბარიერების შემცირებასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულების თვალსაზრისით გარკვეული წარმატება უკვე მიღწეულია, კერძოდ, ევროკომისია ახორციელებს საქართველოს და ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობის წინასწარ ტექნიკურ შესწავლას. მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდება დასკვნა ხსენებული შეთანხმების ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესახებ. ამასთან, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღვინის, სპირტის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციით ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების რამოდენიმე წარმატებული რაუნდის შედეგად, აღნიშნული შეთანხმებაზე მუშაობის დასრულება 2008 წლის ბოლომდე იგეგმება.

ზემოაღწერილი ცხადყოფს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული ეკონომიკური საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ ზოგადია, თუმცა კონკრეტული მიმართულებებით წარმატების მიღწევის პერსპექტივას შეიცავს. ამ თვალსაზრისით კარგ მაგალითად გამოდგება ევროკომისიასთან მიღწეული შეთანხმება, რომ ღვინის, სპირტის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციით ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმება თავდაპირველად ღვინისა და სპირტის პროდუქციის გეოგრაფიული ადგილწარმოშობის ნიშნებს დაიცავს და ევროკავშირის

ბაზარზე ყოველი ახალი ქართული პროდუქტის შეღწევის შემთხვევაში, ამ პროდუქტის ადგილწარმოშობის დასახელების დაცვა ხსენებულ შეთანხმებაზე ცალკე პროტოკოლის დამატების გზით განხორციელდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბროშურათა წარმოდგენილი ციკლის ერთ-ერთ ამოცანას ისიც წარმოადგენს, რომ ევროკავშირის ბაზარზე მესამე ქვეყნის პროდუქციის შეღწევის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, ქართველ მეწარმეებს კონკრეტული ქართული საექსპორტო პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის შესახებ რეკომენდაციები მიაწოდოს და ამით ხელი შეუწყოს საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის რეალიზაციას.

## **EXPORTING TO THE EUROPEAN UNION MARKET - SPECIFIC ISSUES**

### **TARIFF AND NON-TARIFF BARRIERS TO THE TRADE WITH THE EUROPEAN UNION**

Nowadays one of the main factors in the economic growth of developing countries is their ability to successfully interact and integrate with international markets. Realization of their export potential is another key element which is closely linked to their integration.

Developing countries need not only to find their export markets but also to diversify them to avoid dependence. The embargo on Georgian produce introduced by Russia in 2005 caused significant damages to Georgian exporters. Unfortunately, no immediate solution has been found. Nevertheless, the embargo forced the Georgian authorities and exporters to look for alternative markets. As a result, the European Union market given its size, high standards and sophistication, acquired even higher importance for Georgia.

It should be noted that further rapprochement with the EU firmly remains on Georgia's external policy agenda. Therefore, economic integration with the EU is crucial for driving Georgia's European aspirations forward and feeding the process with new ideas.

Despite the growth that has been observed recently, the EU fairly assesses the EU-Georgia trade as limited, with a clear need for diversification, especially when it comes to Georgian exports. It should be noted, that a number of positive preconditions for achieving better results are already in place, namely, Georgia's WTO membership, the EU GSP benefits (to be discussed in the next chapters), continuous EU technical and financial assistance, etc. In this publication the authors will try to identify reasons that prevent the sides from trading more intensively.

The first chapter of the publication introduces tariff and non-tariff barriers in the trade with the EU. The past experience shows that third countries are more capable of overcoming the EU tariff (i.e. administrative- barriers) while non-tariff barriers (standards and norms for production, transportation, labeling and storage requirements, etc.) require more time and efforts on their part.

### **EXAMPLES OF THE EU NON-TARIFF BARRIERS**

The EU single market is governed by a complex merger of EU-wide and national regulations. Through its strict non-tariff barriers, the EU pursues two objectives: protection of European consumers from unhealthy and dangerous foodstuffs and creation of conditions for fair competition. This way the import of those products which

do not comply with the EU norms is being prevented.

Exporters from third countries experience difficulties with the interpretation of and understanding the EU legislation on import rules and standards. Therefore, the main goal of the present publication (and a few more that will follow) is to explain the complex EU regulations and directives and work out recommendations which may be easier to understand and implement. It is also noteworthy that the EU legislation is continuously updated and amended and therefore, needs to be closely observed.

In this respect, the second chapter of the brochure gives some useful examples of the EU non-tariff barriers introduced by EU directives, EU Council decisions, such as sanitary and phito-sanitary norms, food safety and hygienic standards, etc.

## **THE EUROPEAN SINGLE MARKET AND SOME IMPORTANT ASPECTS CONCERNING ITS FUNCTIONING**

The third chapter makes a brief overview of the EU market and its gradual development focusing on the so-called “turning points” in its history. The main success in EU’s economic development results from lifting all the trade barriers between the member states. Tariff barriers such as customs and others were eliminated relatively easily. As regards the reduction of non-tariff barriers, the EU member states had to agree on a common set of requirements which had to be implemented in each and every one of them. The chapter illustrates how the EU internal market has been liberalized so far, giving examples from service, employment, taxation, competition, consumer protection and other sectors.

## **IMPLEMENTATION OF EU TRADE POLICY TOWARDS THIRD COUNTRIES THROUGH BILATERAL AND MULTILATERAL RELATIONS**

The fourth chapter of the publication refers to the EU trade policy towards third countries. This policy includes the EU activities in the framework of the WTO, development of bilateral relations with third countries and asymmetric trade preferences to support their economic development. In this context, the EU stands for the simplification of market access for third countries, also trying to eliminate tariff barriers for “non-sensitive” products.

The EU largely contributes to the reduction of custom tariffs, supports strengthening of bilateral relations with third countries through new policies and agreements as well as sectoral initiatives, introduces various schemes of asymmetric trade preferences to stimulate production and trade growth in third countries, provides for significant technical and financial assistance to improve administrative capacities of the countries concerned, etc. At the same time, it would be fair to say that the abovementioned efforts concern mainly tariff barriers; even if custom tariffs for the entry to the EU

were comparatively low, the complex EU regulations on standards remained to be an obstacle for third countries requiring more time and efforts. However, the EU has developed new approaches starting from 2002, when a Free Trade Agreement (FTA) with Chile was signed. In the new approach the EU tries to overcome the above problems by establishing a Deep FTAs with those third countries which are supposed to become closer EU partners. Deep FTA is designed for not just elimination of tariff barriers between the partners but also for harmonizing trade-related legal and regulatory framework of a partner country with that of the EU. This way, bigger chances will be given to third countries to get a real stake in the EU Internal Market.

## **LEGISLATIVE FRAMEWORK OF THE EU-GEORGIA TRADE AND THE STEPS TOWARDS ITS FURTHER DEVELOPMENT**

Chapter five describes the legislative basis for EU-Georgia trade starting from the Partnership and Co-operation Agreement (PCA) and ending in the EU-Georgia Action Plan, elaborated in the framework of the European Neighborhood Policy (ENP). The authors also give an overview of GSP+, a comprehensive scheme of the EU Generalized System of Preferences, introduced in 2005, as well as current trends in the EU-Georgia trade development, focusing on new opportunities for the reduction of EU non-tariff barriers.

Further, the chapter describes recent steps, jointly taken by the Georgian and European sides, aimed at further harmonization of Georgian export standards to those of the EU. In this context, the EU Georgia bilateral agreement on mutual recognition and protection of geographical indications for wine, spirits and other foodstuffs as well as a feasibility study on the possible EU-Georgia Free Trade Agreement is discussed.

In the follow-up publications, the authors will put forward concrete recommendations on the production, transportation, labeling, packaging and other norms related to third countries. We will also provide information on VAT, excise and other duties in the EU states for certain categories of exported products, as well as information on other important legislative acts of the EU.

